საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1407
01.12.2025

ბრძანება

1407-01-4-202512011523

შპს “AQUA NRG INVESTMENTS LIMITED”-ის (სახელმწიფო რეგ. HE253868) 2025 წლის 7 ნოემბრის №01/6865 დახარვეზებული საჩივრის და 2025 წლის 25 ნოემბრის №01/7259 საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. განუხილველად იქნეს დატოვებული შპს “AQUA NRG INVESTMENTS LIMITED”-ის (სახელმწიფო რეგ. HE253868) 2025 წლის 7 ნოემბრის №01/6865 დახარვეზებული საჩივარი და 2025 წლის 25 ნოემბრის №01/7259 საჩივარი.

2. საჩივრის განუხილველად დატოვება არ ართმევს პირს უფლებას, მომართოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით საკითხის შესწავლის მოთხოვნით.

3. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს მომჩივან მხარეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

5. ბრძანება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2025 წლის 1 დეკემბრის №03/1747 მოხსენებითი ბარათი.

ლევან კალანდაძე



თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი